არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში მოქალაქეთა რეგისტრაციის წესები

1. ბიბლიოთეკაში მოქალაქეთა რეგისტრაციისათვის საჭიროა:
   ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ბინის მისამართის აღნიშვნით) ;
   ბ) ფოტოსურათი (2/3-ზე).
2. მოქალაქეზე გაცემული ბიბლიოთეკის მკითხველის ბილეთის მოქმედების ვადა განისაზღვრება ერთი კალენდარული წლით.
3. სარეგისტრაციო გადასახადის ტარიფი განისაზღვრებაპერიოდების მიხედვით:
   ა) პირველი იანვრიდან პირველ ივლისამდე რეგისტრირებული იხდის 3 (სამი) ლარს.
   ბ) პირველი ივლისიდან პირველ ნოემბრამდე რეგისტრირებული იხდის 2 (ორი) ლარს.
   გ) პირველი ნოემბრიდან რეგისტრირებული იხდის 1 (ერთი) ლარს.
   დ) დროებითი, ხუდღიანი ვადით რეგისტრირებული იხდის 50 თეთრს.
4. სარეგისტრაციო გადასახადის ტარიფი წლის ნებისმიერ დროს:
   ა) სკოლის მოსწავლე იხდის 1 (ერთი) ლარს.
   ბ) ეროვნული არმიის ჯარისკაცი იხდის 1 (ერთი) ლარს.
5. პენსიონერთა და ინვალიდთა რეგისტრაცია უფასოა. ისინი ვალდებულნი არიან პირველ პუნქტში მითითებული საბუთების გარდა დამატებით წარმოადგინონ პენსიონერობის ან ინვალიდობის მოწმობა.
6. სკოლამდელი ასაკის ბავშვის რეგისტრაცია უფასოა.
7. სკოლამდელი ასაკის ბავშვის რეგისტრაციისათვის საჭიროა:
   ა) დაბადების მოწმობა.
   ბ) ერთ-ერთი მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ბინის მისამართის აღნიშვნით).
8. სკოლის მოსწავლის რეგისტრაციისათვის საჭიროა:
   ა) დაბადების მოწმობა.
   ბ) მოსწავლის მოწმობა.
   გ) ერთ-ერთი მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ბინის მისამართის აღნიშვნით).
   დ) ფოტოსურათი (2/3-ზე).